



საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილება
მოსკოვის საპატრიარქო

გამოქვეყნდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამონაზვნო დასის მიმართვა პატრიარქ ბართლომეოსისადამი

Обращение монашествующих
Украинской Православной Церкви

**К СВЯТЕЙШЕМУ ПАТРИАРХУ КОНСТАНТИНОПОЛЬСКОМУ
ВАРФОЛОМЕЮ**

Ваше Святейшество!

Тысячелетняя традиция Православия воздвиглась на единстве Поместных Православных Церквей, каждая из которых в полной мере обладает всей полнотой благодати, и все вместе образуют Святую Соборную и Апостольскую Вселенскую Церковь.

Это единство Поместных Православных Церквей может быть уподоблено Святой Евхаристии, где во всем Святом Агнце — весь Христос, но и в каждой частичке — весь Христос. Украинская Православная Церковь искони хранила такую еkkлесиологию, отдавая дань почтения старшинства древним Православным Церквам. Мы, верующие во Христа, помним слова Господа нашего Иисуса Христа, что Он пришел не для того, чтоб ему служили, а он послужил (см. Мф. 20:28). Поэтому, всякое учение, связанное с особыми полномочиями и особым статусом, всегда склонно к духу мира сего.

Ваше Святейшество, 15 июля 2021 года 310 участников монашеского съезда от 258 монастырей и 56 скитов, подворий и общин Украинской Православной Церкви собрались в великой Свято-Успенской Почаевской Лавре, чтобы не только обсудить насущные вопросы монашеской жизни, но и отреагировать на те процессы в мировом Православии, которые подтачивают единство Православной Церкви. Мы, монашествующие Украинской Православной Церкви, всегда с почтением и благоговением относились к духовной традиции великих греческих монастырей. Для нас и Святая Гора Афон и иные обители Греции являлись местами получения духовного наставления и окормления. Это явление традиционно для монашеской традиции нашей Церкви. Практически в каждом монастыре Украины есть иконы, написанные на Святой Горе Афон и святыни, связанные с Грецией. Мы с любовью и благоговением относились к греческим монахам, от которых в простоте принимали духовные наставления. Мы помним Ваши визиты в Украину, а также Ваших представителей, когда Вы всячески иллюстрировали свою поддержку законному митрополиту Киевскому сначала Блаженной памяти Митрополиту Владимиру (Сабодану), а потом и его преемнику Митрополиту Киевскому и всея Украины Онуфрию. Поэтому для нас величайшей болью и величайшей скорбью стали те вероломные действия, которые Вы, как первый среди равных епископов православного мира, осуществили по отношению к канонической Украинской Православной Церкви. Мы теряемся в догадках, чем мотивированы Ваши решения, но мы воочию наблюдаем к чему они привели. Со смущением в сердце и скорбью мы, монашествующие Украинской Православной Церкви, спрашиваем Вас, патриарха Варфоломея, как Ваша нравственность принимает тот уровень смущений, которые принесло Ваше решение в нашу страну: захваты храмов, избивание простых верующих, дискриминация наших пастырей и паствы на государственном уровне, призывы к истреблению нашего духовенства?

ბართლომეოსისადმი. დოკუმენტი მიღებულია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამონაზვნო კრებულის ყრილობაზე, რომელიც 2021 წლის 15 ივლისს პოჩაევოს ლავრაში ჩატარდა. ტექსტი, რომელსაც ხელს აწერენ დელეგატები და ყრილობის თავმჯდომარე, ვიშგოროდისა და ჩერნობილის მიტროპოლიტი პავლე, 29 ივლისს გამოქვეყნდა კიევ-პეჩერის ლავრის წმინდა მიძინების ტაძრის საიტზე.

თავის მიმართვაში სამონაზვნო კრებული კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მეთაურს მოუწოდებს, შეაფასოს უკრაინის კანონიკურ ეკლესიასთან მიმართებით მის მიერ ჩადენილი მუხანათური ქმედებების შედეგები და გადახედოს საკუთარ გადანყვეტილებებს, რათა არ შევიდეს მართლმადიდებლობის ისტორიაში ეკლესიის მოღალატეთა რიგში.

„თქვენო უწმინდესობავ!

ათასწლიანი მართლმადიდებლური ტრადიცია შენდებოდა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების ერთობაზე. თითოეული მათგანი სრული სისავსით ფლობს მადლის მთელ სავსებას, და ყველა ერთად აყალიბებს წმინდა კათოლიკე და სამოციქულო მსოფლიო ეკლესიას.

ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების ეს ერთობა, შეიძლება შედარებულ იქნეს წმინდა ევქარისტიასთან, სადაც მთელს წმინდა ტარიგში – სრული ქრისტეა, მაგრამ მის თითოეულ ნაწილაკშიც სრული ქრისტეა. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია უხსოვარი დროიდან იმარნავდა ასეთ ეკლესიოლოგიას და უფროსობის პატივის ხარკს მიაგებდა ძველ მართლმადიდებელ ეკლესიებს. ჩვენ, ქრისტეს მორწმუნეთ, გვახსოვს ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სიტყვები, რომ ის მოვიდა ამქვეყნად იმისთვის კი არა, რომ სხვები იმსახუროს, არამედ, სხვებს ემსახუროს (იხ. მთ. 20:28). ამიტომ, ყოველგვარი სწავლება, რომელიც განსაკუთრებულ უფლებამოსილებასა და განსაკუთრებულ სტატუსს უკავშირდება, ყოველთვის ამაქვეყნის სულისკენაა მიდრეკილი.

თქვენო უწმინდესობავ, 2021 წლის 15 ივლისს სამონაზვნო დასის ყრილობის 310 მონაწილე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის 258 მონასტრიდან და 56 სკიტიდან, მეტოქიონიდან და თემიდან, შეიკრიბა წმინდა მიძინების პოჩაევოს დიდ ლავრაში, რათა არა მხოლოდ იმსჯელოს სამონაზვნო ცხოვრების სიდუხჭირეზე, არამედ, ასევე, რეაგირება მოახდინოს მსოფლიო მართლმადიდებლობაში მიმდინარე იმ პროცესებზე, რომლებიც ძირს უთხრიან მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობას. ჩვენ, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამონაზვნო დასი, ყოველთვის პატივითა და კეთილი კრძალვით ვეპყრობოდით დიდი ბერძნული მონასტრების სულიერ ტრადიციებს. ჩვენთვის ათონის წმინდა მთაც და საბერძნეთის სხვა სავანეებიც წარმოადგენს სულიერი შეგონებისა და დაპურების ადგილს. ასეთი მიდგომა ტრადიციულია ჩვენი ეკლესიის მონაზვნური ტრადიციისათვის. პრაქტიკულად უკრაინის ყველა მონასტერში დაბრძანებულია ათონის წმინდა მთაზე დაწერილი ხატები და საბერძნეთთან დაკავშირებული სინმინდენი. ჩვენ სიყვარულითა და მოკრძალებით ვეპყრობოდით ბერძენ მონაზვნებს და უბრალოებით ვიღებდით მათგან სულიერ შეგონებებს. გვახსოვს თქვენი და თქვენი წარმომადგენლების ვიზიტები უკრაინაში, როდესაც თქვენ ყოველნაირად ახდენდით საკუთარი მხარდაჭერის ილუსტრირებას კიევის კანონიკური მიტროპოლიტისადმი – თავიდან ნეტარსენებული მიტროპოლიტ ვლადიმერისადმი (საბოდანი), მერე კი მის მემკვიდრე კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრესადმი. ამიტომ ჩვენთვის უდიდეს ტკივილად და უდიდეს ნუხილად იქცა ის მუხანათური ქმედებები, რომლებიც თქვენ, როგორც პირველმა მართლმადიდებლური სამყაროს ეპისკოპოსთა შორის, განახორციელეთ უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით. ჩვენ ვარაუდებში ვიკარგებით, რითია

მოტივირებული თქვენი გადანყვეტილებები, თუმცა თვალნათლივ ვხედავთ, სანამდე მიგვიყვანა ამ გადანყვეტილებებმა. გულის ქმუნვითა და ნუხილით ჩვენ, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამონაზვნო წესნი, გეკითხებით თქვენ, პატრიარქ ბართლომეოსს, როგორ ურიგდება თქვენი ზნეობა შფოთის იმ დონეს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში თქვენმა გადანყვეტილებებმა მოიტანა: ტაძრების მიტაცება, უბრალო მორწმუნეთა გვემა, ჩვენი მწყემსებისა და სამწყსოს დისკრიმინაცია სახელმწიფო დონეზე, მონოდებები ჩვენი სამღვდელთა გასანადგურებლად? გესმით თუ არა, რომ თქვენი სიბერის ჟამს ღვთის ერთიანი ერის გაყოფის მიზეზი გახდით, რომელშიც, პავლე მოციქულის სიტყვის თანახმად, არა არს წარმართ და ჰურია, წინადაცუეთილება და წინადაუცუეთილება, ბარბაროზ, სკვთელ, მონება, აზნაურება, არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე (კოლ. 3:11)? რომელი ანტიეკლესიური ძალების მოთნეობით ნახვედით ასეთ ეკლესიის სანინაალმდეგო გაუგონარ დანაშაულზე? აცნობიერებთ თუ არა, რომ სისხლიან დაპირისპირებაში, რომელიც უბედურებას თესავს ჩვენს ხალხში, თქვენ შეიტანეთ ახალი თესლები რელიგიური ბრძოლისა, რომლისგანაც უფალმა დაგვიცვა ჩვენ ადრე.

არსებულ სიტუაციაში, ჩვენ, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამონაზვნო დასი, მოგმართავთ მონოდებით, შეაფასოთ თქვენი ქმედებების შედეგები და გადახედოთ საკუთარ გადანყვეტილებას. გახდით კვლავ ყველა მართლმადიდებლისათვის პატივით პირველი მღვდელთმთავარი და მამა. გაიხსენეთ მართლმადიდებლობის მტკიცე მიმდევრობა თქვენი დიდი წინამორბედებისა. დაფიქრდით, როგორი დიდი პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ, თუკი მართლმადიდებლობის ისტორიაში თქვენი სახელი სამუდამოდ იქნება დაკავშირებული დათრგუნულ ერთობასთან და იქნება ერთ რიგში დამდგარი არა თქვენს დიდ წინამორბედ და წმინდა მღვდელთმთავრების სახელებთან: იოანე ოქროპირთან, ფოტიოსთან, ტარასისთან, გენადისთან, არამედ, ეკლესიის მოღალატეებთან, რომლებმაც შებილწეს კონსტანტინეპოლის საყდარი.

ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის საერთო სინმინდის წინაშე ჩვენ, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავრები, ადგილისმონაცვლენი და წინამძღვრები ყველა წმინდა სავანისა, აღვაფლენთ ლოცვას მონყალე უფლისადმი იმის შესახებ, რომ მოგეცეთ ხილვა იმისა, თუ სანამდე მიგვიყვანა თქვენმა მცდელობამ, გაგეერთიანებინათ კანონიერი ეკლესია იმათთან, ვინც განუდგა მას ათეული წლების წინ, და განმტკიცდა რა თავს გულქვაობაში, შფოთსა და განყოფას თესავს უბრალო ადამიანებს შორის“.

მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირი

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/87818/>